91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №17 (7116) 2 სექტემბერი 2024 წელი

რიკოთის უღელტეხილზე ყველაზე გრძელი გვირაბი გაიხსნა!

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე, რიკოთის ისტორიული გვირაბის პარალელურად, ახალი 1800 მ-იანი გვირაბის მშენებლობა დასრულდა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა. ამასთან, დაიწყო ძველი გვირაბის რეაბილიტაცია.

ახალი 1800 მ-იანი გვირაბი რიკოთის საუღელტეხილო გზაზე არსებულ და მშენებარე გვირაბებს შორის ყველაზე გრძელია.

დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი პაატა კვიჟინაძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

ახალი გვირაბი სრულად აღიჭურვა საგზაო უსაფრთხოების ყველა აუცილებელი მექანიკური და ელექტრო სისტემებით - მათ შორის, სავენტილაციო და შეტყობინებების სისტემებით. ამასთან, მიმდინარეობს ამ სისტემების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობაც.

ძველ გვირაბში ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. განახლდება გზის საფარი, გამოიცვლება სანათები, დამონტაჟდება საგზაო უსაფრთხოების აუცილებელი სისტემები.

რიკოთის მონაკვეთის ყველაზე გრძელი ორი პარალელური გვირაბი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ერთმანეთს დაუკავშირდება სამი, მათ შორის, ერთი სამანქანო საევაკუაციო გასასვლელით.

ამ დროისათვის, ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს რიკოთის ახალი ჩქაროსნული გზის 36 კმ-ით, რომელიც მოიცავს 77 ხიდსა და 43 გვირაბს. ინტენსიური სამუშაოები გრძელდება დარჩენილ მონაკვეთებზე.

რიკოთის უღელტეხილზე, საერთო ჯამში 52 კმ სიგრძის 4 ზოლიანი, ჩქაროსნული გზა 51 გვირაბი და 97 ხიდი შენდება. რიკოთის ჩქაროსნული გზის 51 გვირაბიდან 50 და 97 ხიდიდან 89 ხიდი უკვე აშენებულია.

ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს, მათ შორის, განათების სისტემას.

რიკოთის უღელტეხილის დარჩენილი მონაკვეთების მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა.

აგვისტო მარიამობის თვე

აგვისტო მარიამობის თვეა. ამ თვეში ორი უდიდესი უძრავი საეკლესიო დღესასწაული აღინიშნება—19 აგვისტოს ფერისცვალება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და 28 აგვისტოს—მიძინება ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა, ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამისა.

☞6

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

თანადგომა სახლდაზიანებულ ოჯახებს

☞2

კვლავ „ნინველებზე“— მომავალ შეხვედრამდე!

☞3,8

ახალი სასწავლო წელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, ორშაბათს დაიწყება!

ამბავი, რომელიც გვახარებს ემიგრანტები დაბრუნდნენ

☞3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

თანადგომა სახლდაზიანებულ ოჯახებს

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ სახლდაზიანებული ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში მშენებარე სახლები დაათვალიერა. იგი პირადად იმყოფებოდა რამდენიმე ბენეფიციარის ოჯახში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები უშენდებათ.

2024 წელს აღნიშნული პროგრამით, მუნიციპალიტეტში 12 სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. მერის ინიციატივით და საკრებულოს აქტიური ჩართულობით, მიმდინარე წელს სახლდაზიანების პროგრამის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 540 000 ლარს შეადგენს.

ეს სოციალური პროგრამა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე იმ სოციალურად დაუცველი პირებისთვის პროგრამა ითვალისწინებს მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ან შეძენას, რომელთა სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

სახლების მშენებლობის მონიტორინგს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბავშვიანი ოჯახების გასაძლიერებლად

ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მორიგი სოციალური აქცია განხორციელდა.

აქციის ფარგლებში ბავშვიან ოჯახებს საოჯახო ტექნიკა გადაეცათ. სოფელ სიქთარვაში, ღვანკითსა და ალისუბანში მცხოვრებ ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა პირადად მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მიუტანა და ოჯახებს შემდგომში კვლავ მხარდაჭერას დაჰპირდა.

სოციალურ აქციაზე ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, სოფლების დეპუტატები და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ფსიქოლოგიური დრამა...

თერჯოლის კულტურის სახლში ახალი სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. თერჯოლელთათვის კარგად ნაცნობმა რეჟისორმა, ერემია სვანაძის დამოუკიდებელი თეატრალური დასის რეჟისორმა, ტატო პატარიძემ წარმოადგინა ფსიქოლოგიური დრამა, სახელწოდებით „ემიგრანტები“. სლავომირ მროჟეკის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში, ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, ზურა კუპრაშვილი და თოჯინების თეატრის მსახიობი, ზაზა იოსებაშვილი მონაწილეობდნენ, მუსიკალურად სპექტაკლი გააფორმა პაპუნა გვანცელაძემ.

სპექტაკლის პრემიერას, თერჯოლელ მოქალაქეებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძეც დაესწრო.

გიწვევთ!

4 სექტემბერს, 20:00 სააათზე თერჯოლაში, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ, გაიმართება კონცერტი.

მონაწილეობენ:
ნიკა არაბიძე
პაატა გულიაშვილი
ნათია მოსიაშვილი
ლოლა წერეთელი

გთხოვთ მობრძანდეთ!
დასწრება თავისუფალია!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 16 აგვისტოს, გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 6 საკითხის შესახებ იმსჯელეს. მათ მხარი დაუჭირეს პროექტებს საკითხებზე:

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

„უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 აგვისტოს N 29.29242202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ”თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დღევანდელ სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალგაზრდებმა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

თერჯოლაში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს.

ამ დღესთან დაკავშირებით, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობით ჩატარდა კულტურული, გასართობი და სპორტული აქტივობები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში მოეწყო ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“, რომელშიც ახალგაზრდებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ახალგაზრდებისთვის მოეწყო მხატვრული ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ ჩვენება, რომლის დასრულების შემდეგ გაიმართა ფილმის განხილვა.

მოგვიანებით, ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები სოფელ საზანოში ფეხბურთის ტურნირით დასრულდა.

ახალგაზრდობის მხარდასაჭერად, ღონისძიებები მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე გაეროს მიერ დაარსდა და ის საქართველოში 2000 წლიდან აღინიშნება.

კვლავ „ნინველებზე“— მომავალ შეხვედრამდე!

ბანაკმა „ნინველებმა“ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ნამდვილად გააბედნიერა, სხვებს კი გაუჩინა სურვილი ლამაზი დღეები თავის თავზე გამოეცადა. არის მრავალი გამოხმაურება და სამადლობელი სურვილები მოსწავლეებიდან, მშობლებიდან, სკოლებიდან, პედაგოგებიდან...

ვასრულებთ ჩვენს წინა წერილში მკითხველისათვის მიცემულ პირობას და „ნინველებზე“ ამჯერად კიდევ ერთ გვერდს გთავაზობთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ყველაფერზე ვერც ახლა მოგიყვებით, თუმც ეს ფოტოკოლაჟი და ბანაკის ერთ-ერთი გუნდის „ლეგიონის“ ლიდერის შეფასება, ბანაკის ცხოვრებაზე წარმოდგენა თქვენთვის ბევრის მთქმელი იქნება.

იმედია, მუნიციპალიტეტის მერია სამომავლოდ მეტ ახალგაზრდას მისცემს საშუალებას შექმნას თავისი ლამაზი „ზღაპარი სიყვარულისა“...

☞8

ამბავი, რომელიც გვახარებს

ემიგრანტები დაბრუნდნენ

ფაქტები, რომლებზეც ქვემოთ მოგითხრობთ, რა თქმა უნდა სასიხარულოა, მაგრამ პერმანენტული მიგრაციის პირობებში, ისე არ უნდა გავიგოთ—არიქა ქართველმა ემიგრანტებმა იხუვლეს, საქართველოს საზღვრებს მოაწყდნენ დასაბრუნებლადო, თუმცა ის ამბავი, რომ გარკვეული ხნით წასულებიდან ერთეულები ბრუნდებიან, კარგის ნიშანია და ღმერთმა ქნას მათთვის სხვებსაც მიებაძოს.

ორიოდე წლის წინ ჩემი ორი მეგობარი, ალისუბნელი ბორის ზარნაძე და დავით ჯაბიძე დაბრუნდნენ საბერძნეთიდან, 2-3 მეზობელი დაგვიბრუნდა კუთხეში—თერჯოლაში, ერთი თურქეთიდან (ქალბატონია), მეორე ისრაელიდან. ბუნებრივია დავინტერესდი მათი გადაწყვეტილებით (ეს ხომ მთელი სამეზობლოს სიხარულია) და ინტერვიუც ვთხოვე თითოეულს. დავით ჯაბიძეზე გვქონდა უკვე მასალა წინა გაზეთებში.

გიორგი რობაქიძე: „თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე წარჩინებით. იურისტი გავხდი. იმ დროს ქვეყანა არეული იყო და ჩემი იურისტობით გამიჭირდებოდა აქ ოჯახის შექმნა და რჩენა. მეც, როგორც სხვა, ბედის საძებნელად უცხოეთში წავედი. არც გადაწყვეტილების მიღებაა იოლი ასეთის და მითუმეტეს არჩეულ ადგილას ჩასვლა. ბედის და საკუთარი მოხერხების წყალობით შეუძლებელი შევძელი—7 წელი კანადაში ვიყავი, 8 წელი ისრაელში. შემოსავალი სოლიდური მქონდა, თუ რიგიანად გაირჯები და იშრომებ თავდაუზოგავად, ამ ქვეყნებში კარგად შეიძლება მოიწყო ცხოვრება, მაგრამ შევატყვე მეტს ვეღარ გავჩერდებოდი, ჩემი თერჯოლა მომენატრა, ჩემი გორა საპოვნელაზე, ჩემი ეზო-გარემო, მეზობლები თავისთავად.

ჩემთან ბევრი ქართველი იყო, სულ მგლებივით ბიჭები, ჯერ ვთხოვე თითოეულს, მარტო ნუ გამიშვებთ, დროა წავიდეთ-მეთქი, შემდეგ ვჩხუბობდი—რამდენ ხანს გინდათ აქ, ნუთუ სამშობლო არ მოგენატრათ-თქო. ძნელია შემოსავლიანი ადგილი ხელიდან გაუშვა, არ ამყვნენ, დავკარი ფეხი და წამოვედი. გავცოცხლდი, ჩემი სახლ-კარის ჭიშკარი რომ შევაღე თერჯოლაში. ის დღე იყო და როგორც კი შეიძლებოდა მისახედავს მივხედე: სულ ახლებურად შევცვალე სახლი, ცალკე სასტუმრო-სამზარეულო გავაკეთე, შემოვიღობე რიგიანად, ახალი თანამედროვე ჭიშკარი დავდგი, ეგ კი არა და ჭაც გავაკეთე. მაღალ ადგილზე ვცხოვრობ და მთელი 20 მეტრი სიღრმის ჭა გავაკეთეთ და ანკარა წყალიც წამოვიდა.

დღენიადაგ მეზობლების გარემოცვაში ვარ, ამას რა სიმდიდრე შეედრება, თუმცა ჩემი საემიგრაციო საქმე ჯერ მთლიანად მოგვარებული ბოლომდე არ მაქვს—ჩემი 2 შვილი (30 წელს არიან მიღწეული), კვლავ ისრაელშია (უყვართ ახალგაზრდებს კომფორტული ცხოვრება). მაგრამ ეს სახლ-კარი მისთვის არ მოვაწყვე, რომ მასში, ღმერთმა დაგვიფაროს და სხვა გადამთიელმა იცხოვროს—აქ მალე ჩამოვლენ შვილებიც და აქაურობას ახალ სიცოცხლეს შემატებენ, აქ იმრავლებს რობაქიძეთა დიდი გვარის შთამომავლობა.

კარგ მაგალითს გადამდები თვისებები აქვს. ვისურვებდი, სხვა ემიგრანტებსაც მოებაძოს“.

მანანა რიჟამაძე. ქ. თერჯოლა.

„თუ არა ეკონომიკური სივიწროვე, სხვა რა უნდა იყოს, რომ ოჯახში მოფუსფუსე დიასახლისი, სადღაც დასაკარგავში წავიდეს გროშების საშოვნელად.

კაცებისათვის ეს საქმე უფრო ადვილია, ვიდრე ქალებისათვის, ნოსტალგიასაც ისინი მეტად უმკლავდებიან.

იქ არჩევანის საშუალება არაა, ოღონდ კი იშოვო რაიმე სამუშაო და იძულებული ხარ აკეთო, თუნდაც იგი შეუსაბამო იყოს შესაძლებლობებსა და ესთეტიკურ პირობებთან. 12 წელი დავყავი ემიგრაციაში, თურქეთში, ვმუშაობდი ბავშვების მომვლელად. ბოლოს ისე მომენატრა ჩემი სახლ-კარი, ჩემიანები, რომ ვეღარ გავუძელი და წამოვედი. თითქოს მეორედ დავიბადე ჩემს კუთხეში რომ მოვედი და ჩემი ოჯახის კარები შევაღე. ამ სიხარულს ვერაფერი თანხა ვერ აიწონის და ვერანაირი სიმდიდრე ვერ შეედრება. მაგ კი არადა, ის მიკვირს, აქამდე როგორ გავძელი უცხოეთში.

ოთხი შვილი მყავს. 2 ქალიშვილი პედაგოგია და პროფესიით არიან დასაქმებული, არსად წასვლას არ აპირებენ სხვებივით, ძალიან მიხარია. უფროსი ქალიშვილი თბილისშია გათხოვილი, კარგი სიძე მყავს, უნარიანი და აქაა დასაქმებული, კარგი ქართული ოჯახი აქვთ, საუკეთესო შვილები. დარჩენილ ცხოვრებას მათ ზრუნვასა და ამაგში გავატარებ. უმშობლოდ ოჯახი რაა, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებთან ფუსფუსსა და სიყვარულს რა უცხოეთში აღებული დოლარები შეედრება.

ვთხოვ გულწრფელად ყველას—წასულებს ამ სიამეს ნუ მოიკლებენ, დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას“.

ბორია ზარნაძე, სოფ. ზედა ალისუბანი.

გაზეთ „თერჯოლის“ გულშემატკივარი და აქტიური მკითხველი ვარ. ურთიერთობა მაქვს რედაქციის მუშაკებთან, ამიტომ, როცა ემიგრაციიდან დავბრუნდი უმალ რედაქციელებს ვესტუმრე და ინტერვიუც მივეცი. ახლა კი რესპუბლიკურ ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნებულ ერთ წერილთან დაკავშირებით მინდა ჩემი აზრი გაგიზიაროთ, რაც სამწუხაროდ, ისევ ემიგრანტებს ეხება და საერთოდ, მიგრაციის პრობლემას.

იმ წერილში ერთი ქალბატონი (სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ისეთ გულისშემძვრელად ასახავდა ემიგრაციაში მყოფ ქართველ ქალბატონთა ყოფას, გული დაეწვებოდა

კაცს. ცხადია, თავადაც ტანჯულ ემიგრანტად გვისახავდა საკუთარ პერსონას, რომ არ ჰქონდა საშუალება სამშობლოში დაბრუნებულიყო. სიყალბის ნოტები დავიჭირე მის წერილში, როგორც ვიცი და მოარული ხმები ამბობენ, იმდენი ხანია წასულია სამუშაოდ სხვებს არც დაესიზმრება. აქაც კარგად ცხოვრობს, თბილისშიც და იქ კიდევ ემიგრაციაში სოლიდური შემოსავალი აქვს დოლარებში—სამწუხაროდ იმიტომ არ მოდის, რომ დღემდე ვერ გააკეთა არჩევანი სამშობლოს, ოჯახს და იმ დოლარებს შორის. ესაა სულ მთელი „ფილოსოფია“ და მეტი არაფერი.

კარგი რომ არ არის ემიგრაციაში ყოფნა და ოჯახის მოწყვეტა ეს ყველამ იცის. შენ ის უთხარი საზოგადოებას, ამდენი ხანი რომ დაყავი ემიგრანტად, შენ რას აპირებ, რა მაგალითს აძლევ დანარჩენებს.

თითქმის 10 წელი ვიყავი ემიგრაციაში და კარგად ვიწვნიე ყველა სიმწარე თუ დალხინება იქ ყოფნის დროს.

არავის ეგონა თუ წავიდოდი, მაგრამ წავედი. მიჭირდა და არ შემეძლო სხვანაირად. მართალია ვიზალიბერალიზაციაა, მაგრამ მიგრანტები უკვე პრობლემაა ევროპისათვის და სიხარულით არავინ ხვდება. ასე, რომ კარგა გვარიანი წვალება გავიარე მეც, ვიდრე სამუშაოს ვიშოვიდი. ჩავედი თუ არა საბერძნეთში, ეგრევე ციხეში მიკრეს თავი, სადაც სპეცგანყოფილებაში 1 კვირა დავყავი. არ ვიცი რა მოიძიეს ჩემი პიროვნების ირგვლივ, მაგრამ არ იქნები შენ ურიგო კაციო და გამომიშვეს. ვიშოვე სამუშაო და მეტი რა მინდოდა. შრომა ჩემი საქმეა, ორი კაცი ვერ დამიდგება გვერდით. გავაოცე ადგილობრივები მუყაითობით. ისე გავიდა 10 წელი ვერც კი გავიგე, სოლიდური თანხა დავაგროვე. აქ ოჯახის შესანახად კარგა ხანს მეყოფოდა. თან მეტი გაჩერება აღარ შემეძლო, ვიცი დარდი შემჭამდა. მე საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე ვმუშაობდი, სამოთხეს გავს იქაურობა, წყაროებიც არის, მაგრამ რად გინდა, დასალევად არ ვარგა წყალი, ზღვის მტკნარ წყალს ამუშავებენ და იმას სვამენ. სწორედ ჩვენი ჩუხჩუხა წყაროები მომენატრა, ეზო-კარი მომენატრა, შინ, საკუთარ სახლში ძილი მომენატრა. ავდექი და წამოვედი. გავაცოცხლე აქაურობა. ვაზი გავაშენე და გადავახეივნე, ფურები შევიძინე, ღორები, კრუხ-წიწილა... მეზობლები ხომ გავახარე და გავახარე ჩემი ჩამოსვლით. ნათქვამია „გული გულობდეს და ქადა ორივე ხელით იჭმევაო“. ვისაც წამოსვლა უნდა და მამულის სიყვარული აქვს, ყველა წამოვა. ტყუილად წუწუნს ყველამ დაანებოს თავი და იმის ძახილს ვაი, რა გვეშველებაო.

სხვანაირად არ გამოვა, ქვეყანაც დაიცლება და ამ კუთხე-კუნჭულს, რომლის შენებაში ოფლი დაღვარე, სხვა დაეპატრონება“.

ი. ერაძე

ვიტალი ქურციკიძის საოჯახო ბიზნესი

გამოცდილ მეურნეთა მაგალითზე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თუ კაცს შრომა უყვარს, თუ მეურნეობას უნარიანად უძღვება, შედეგსაც სასურველს აღწევს და ცხოვრებასაც არ ემდურის. იწევს იმდენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ოჯახისათვის, რომ სჭირდება, ხოლო ნამეტი გასაყიდად გააქვს ბაზარზე და კონკურენციას უწევს უცხოეთიდან შემოტანილს.

ასეთ სამაგალითო მეურნეთა რიცხვს მიეკუთვნება ალისუბნელი, ათეულობით წლებია უკვე ქალაქ თერჯოლის მკვიდრი, ვიტალი ქურციკიძე. იგი პროფესიით ინჟინერ-მექანიზატორია. მუშაობდა კიდეც შესაბამისი პროფილით „საქსოფლტექნიკის“ თერჯოლის რაიგანყოფილებაში, რომელიც იმ დროისათვის (საბჭოური პერიოდი) ერთ-ერთი წამყვანი საწარმო იყო რაიონში. აქ გაიცნო და ოჯახიც შექმნა ნიჭიერ ქალბატონ ნათელა კირკიტაძესთან, რომელიც ამავე განყოფილებაში მუშაობდა ეკონომისტად. იგი ერთ-ერთი პირველი მომხრე იყო მათ შორის, ვინც ქალაქის გაგრძელებაზე სამხრეთით, ჩაის ფაბრიკისა და სტადიონის მიმდებარედ, 1988 წელს საძირკველი გასკვნა და ისეთი სახლ-კარი ააგო, ისეთი მეურნეობა მოაწყო, ავ თვალს რომ არ ენახვებოდა (ასეა ახლაც).

შემდეგ, ყველა ჩვენთაგანის სავალალოდ, ქვეყანა რომ აიშალა და აიწეწა, სახელმწიფო ქონებაზე მგელტაციობა რომ შეიქმნა, ცხადია როგორც სხვები, ორივე ცოლ-ქმარი უმუშევარი დარჩა. ბევრი შრომისუნარიანივით ვიტალიმ ჩემოდანი როდი ჩაალაგა და უცხოეთისაკენ გაუყვა გზას, მუყაითმა ცოლ-ქმარმა მკლავები დაიკაპიწა და ფიზიკურ შრომა-საქმიანობას მიჰყო ხელი. საცოდაობაც კი იქნებოდა ასეთი კარგი, ბაღნარად ქცეული ეზო-გარემოს მიტოვება. ფურები შეიძინა, რამოდენიმე დედა ღორი ისეთი კარგი ჯიშის, რომ ახლო-მახლო მცხოვრებთ მისგან მიჰყავდათ გოჭები სანაშენოდ და გამოსაზრდელად. შემდეგ და შემდეგ გააფართოვა მეურნეობა—ფერმა ააშენა პირუტყვისათვის, ინკუბატორი შეიძინა, ქათმის წიწილების გამოზრდას და სახორცედაც წარმოებას შეუდგა.

როგორც ყველა წარმატებული ბიზნესმენის სამუშაო დღე ვიტალისიც ადრე დილით იწყება და გვიან ღამით მთავრდება, უკვირთ ბევრს, ამ დალოცვილებს რა ენერგია აქვთ ასე მუხლჩაუხრელად რომ შრომობენ და ამდენ საყოლიებელს უვლიანო, თავად ცოლ-ქმარს კი ეს ყოველივე ჩვეულებრივად მიაჩნიათ. არადა, მართლაც როგორი მოსავლელია ამდენი ყანა, ვენახი, ბაღ-ბოსტანი. ახლა საყოლიებელი? 15-მდე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 4 ფური. 10 დედა ღორი თავისი გოჭებით, კრუხ-წიწილა.

საოჯახო შრომაში მხარში უდგათ ვაჟი გიორგი, მისი მეუღლე ნინო, რომელიც პედაგოგია და ორ სკოლაში ასწავლის კიდეც, მაგრამ თავისუფალ დროს ოჯახში ტრიალებს ჯარასავით. 3 ანგელოზივით შვილიშვილი ჰყავთ, მათაც ხომ მიხედვა უნდა.

ქურციკიძეთა ოჯახური ბიზნესი, დაფუძნებული თავდაუზოგავ შრომაზე, წარმატებულია. ამ დროის პირობაზე შეძლებულად ცხოვრობენ. რა გასაკვირია თუ საზღვარგარეთ წასასვლელად ფიქრი უცხოა მათთვის.

„ოჯახურ ბიზნესს ფართო გზა უნდა გაეხსნას, ამბობს ვიტალი, არავინ ისე მუყაითად არ დაუდგება ერთმანეთს მხარში შრომის დროს, როგორც ოჯახის წევრები. ჯერ ერთი, რომ საქმიანობა ნაყოფიერი იქნება და მეორეც—შვილებს, რომლებსაც ახლა უცხოეთში წასასვლელად უჭირავთ თვალი, ადგილზე დაამაგრებენ, აქ შექმნიან ოჯახებს.

ერთ საყურადღებო მაგალითს მოვიყვან. ოტია იოსელიანი ვინ არ იცის, იგი დიდი მწერალი იყო და ამასთან, ისეთი მეურნე, წყალტუბოში ბადალი რომ არ ჰყავდა. საფრანგეთში, კერძოდ პარიზში, მოგვიწყო ექსკურსია მაშინდელმა მერმა, თემურ შაშიაშვილმა ინტელიგენციის

სოფელი საერთო საზრუნავი

წარმომადგენლებსო, ჰყვებოდა ცხონებული. პარიზში ჩასულები, სხვები რომ მაღაზიებს მოედვნენ „ტავარის“ საყიდლად, მე დავიქირავე ტაქსი და იქაური ფერმერების საქმიანობის გასაცნობად წავედი. ქალაქის გარეუბანში პირველივე ფერმერს მივადექი, საქმის ვითარება ავუხსენი. შეწუხდა ფერმერი, მე რა გამოცდილება უნდა მოგცეთ, მხოლოდ 200 ჰა ფართობი მაქვს, აი, სხვებს კი 500-მდე და მეტი სავარგულიო. ყველა ოჯახის წევრი ვამუშავებთ და სარგებელიც მთლიანად ოჯახის წევრებს გვხვდებაო.

ახლა იმ ფერმერს, რომ ავტოპარკი ჰქონდა და ყველა სამუშაო მექანიზებული, იმ დონემდე კარგა ხანს ვერ მივა ჩვენებური ფერმერი, ამიტომ უნდა დავიწყოთ საქმისადმი ახლებური მიდგომა. სახელმწიფომაც მეტად უნდა წაახალისოს ოჯახური ბიზნესი და მას ფართო გასაქანი უნდა მისცეს. კარგი პროექტია „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ იქ, სადაც მეცხოველეობის პროდუქტები უნდა აწარმოო, ყურძენი, სიმინდი, სოიო და ა.შ. არაა სწორი პარკეტის საამქრო დააფინანსო (როგორც ეს მოხდა სოფელ ძევრში, ახლა გამოკეტილია თურმე, როგორც გავიგე) და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ფული არ ჩადო.

ყველაფრის სუფსიდირება სახელმწიფოს ჯერჯერობით გაუჭირდება (ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ), მაგრამ ერთჯერადი დახმარებები აუცილებლად უნდა გაიცეს, აი დავითაშვილი, რომ იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი (ახლა ეკონომიკის მინისტრია და ვიცე პრემიერი), გაიცა გარკვეული ფულადი დახმარებები იმ მეურნეებზე, ვისაც 1,25 ჰა ფართობი ჰქონდა. სასწაული არ მომხდარა, უბრალოდ სოფლად მცხოვრებლებმა მეტი ფართობი დახნეს, დათესეს, მოსავალი მოიყვანეს, შემდეგ კი ახალი მინისტრის ხელში აღარ გაიცა ასეთი და დარჩა სავარგულები დაუმუშავებელი. გაივლი სოფლებში და გული გიკვდება, რომ ამდენი ფართობი დაუმუშავებელია. შედეგად, ბაზარში ყველა შემოტანილის საყიდლად მიდის და უცხო ქვეყნის ფერმერს ვამდიდრებთ.

პირადად საკუთარი მკლავის იმედად ვართ მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, ნამეტ პროდუქციასაც ვიწევ და ვყიდი, მათ შორის ყველს, რძეს, ხორცსაც. გამომყავს წიწილები ინკუბატორში და რეალიზაციას ვუკეთებ.

მარტო მე როდი ვარ ასე, ჩემისთანა არცთუ ცოტაა რაიონში და რაც მეტი ვიქნებით, მით უფრო მალე აღორძინდება სოფელი, შესაბამისად, სახელმწიფოც. ახლა მთავარია, რომ მშვიდობაა ქვეყანაში. იმედია მშვიდობიანადვე გავცდებით ადუღებული მსოფლიოს კატაკლიზმებს და ღირსებით ვივლით არჩეულ გზაზე. პირადად, როგორც ერთი მამულზე შეყვარებული ქართველი, ჩემს წვლილს შევიტანთ საერთო საქმეში. ამასვე მოვუწოდებ ყველას, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოუკეტია ეზო-კარი და თავისი კუთხის დალხინებით და გაჭირვებით ცხოვრობს“.

საჭირო პროფესიის ადამიანები

შრომა რისკის ზღვარზე

პიროვნებებს, ვისაც ეს საგაზეთო პუბლიკაცია ეხებათ, ქალაქ თერჯოლაში კი არა, მთელს მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი იცნობს, სწორედ იმ პროფესიიდან გამომდინარე, რომელსაც ბუნებისაგან დაყოლილი ნიჭის წყალობით ფლობენ და არაა ოჯახი, მათი ხელსაქმეობით არ ესარგებლოს. ზურიკო მაკარიძესა და მალხაზ გურაბანიძეზე მოგახსენებთ.

ისინი მრავალი ათეული წელია თუნუქისა თუ მეტალოპლასტმასის სახურავების, ღვარსაშვები სადინარების ე.წ. „ჟოლობების“, თუნუქის ქოლგების მოწყობის ხელოსნები არიან და იმდენი ჰყავთ შემკვეთი საქმეს ვეღარ აუდიან. იმ პრობლემური მიზეზის გამოც, რომ ვისაც რაიმეს კეთება შეუძლია, ნელ-ნელა გაიკრიფნენ მშობლიური საცხოვრებლიდან. ვინ უცხოეთში წავიდა, ვინ დედაქალაქ თბილისში, სადაც მშენებლობის ისეთი ბუმია, ლამის მთელი საქართველო თბილისში ჩასახლდეს. ასე რომ, ჯერჯერობით, ბატონი ზურაბი და ბატონი მალხაზი „უკანასკნელი მოჰიკანები“ არიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ ყველა შემკვეთს მოემსახურონ. სამუშაო კი მეტად რთული და სარისკოა. მთელი დღე უწევთ ზოგჯერ სახურავზე მუშაობა მცხუნვარე მზის ქვეშ. ისეთი კომფორტი და ტექნოლოგიები სადაა, ყველა სახლს დამცავი ბადეები შემოავლონ, მხოლოდ დიდი გამბედაობით, მოთმინებით და იუვილერის სიზუსტით აკეთებენ გასაკეთებელს და ღვთის წყალობით დღემდე რაიმე სერიოზული გადაცდომა არ მოსვლიათ.

ჩვენს საქმეში შეცდომა დაუშვებელია, ამბობს მალხაზი, თუ სიმაღლის შიში გაქვს და გულში ოდნავადაც კი გაივლე, რომ გადმოვარდები, ფათერაკი არ დააყოვნებს... სახურავზე უნებლიე წაბორძიკებაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს. ორნი რომ ვართ ერთმანეთის იმედიც გვაქვს. თავიდან მარტო ვმუშაობდით. ერთხელ, ადრე იყო ეს, სამუშაო დამიგროვდა, ვეღარ ავუდიოდი, მივედი, ვთხოვე ზურიკოს (იგი ჩემზე ბევრად უფროსია), მოდი, მომეხმარე-მეთქი. ისე იყო მიჩვეული მარტო მუშაობას, თავიდან იუარა, მაგრამ შემდეგ ჭკუაში დაუჯდა, მომეხმარა და ამის შემდეგ ერთად ვმუშაობთ. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონიათ. ახლა უერთმანეთოდ ყოფნა, მითუმეტეს საქმიანობა ვერც წარმოგვიდგენია. შრომაც უფრო ნაყოფიერი და შედეგიანია.

კითხვაზე თუ როგორ აითვისა ეს ყველასათვის საჭირო პროფესია და რამდენი ხანია, რომ მუშაობს ამ პროფესიით, ვერც კი გაიხსენა. ზურიკომ მართლა აღარ მახსოვს რამდენი ხანია მას აქეთო. ეს 70 წელს გადაცილებული კაფანდარა კაცი, ისე მარდად შეუყვება ხოლმე სახლის სახურავისაკენ მიმავალ კიბეს და ისე სიმსუბუქით დადის სახლის ციცაბო, დაქანებულ სახურავზე რომ გაოცებაში მოხვალ კაცი.

ხელსაქმობა, რკინასთან ჩხიკინი ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ თუ ეს საქმე ჩემი ცხოვრების თანაზიარი გახდებოდა და ამ პროფესიით ვარჩენდი ოჯახს, ამაზე არასოდეს მიფიქრია. შემთხვევის წყალობით გავხდი თუნუქის ფურცლებზე მომუშავე. მეგვარე მყავდა ერთი, აცხონოს ღმერთმა, ცეზარი მაკარიძე—დიდებული ხელოსანი იყო, ის რომ სახლს დახურავდა თუნუქის ფურცლებით თუ ღარებიანი ალუმინის სახურავით, მის ნახვას არაფერი სჯობდა. წამოდი, მთხოვა ერთი-ორჯერ, გეხერხება შენ ეს საქმე და დამაუფლა პროფესიას. ამ ხნის კაცი ვარ და დღემდე ვმუშაობთ. ჯერჯერობით მკლავიც მიჭრის და თვალიც, თანაც გვერდში ისეთი მუყაითი, ახალგაზრდა ხელოსანი მყავს, უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს.

მწყინს, რომ ახალგაზრდებს არ უნდათ აითვისონ ხალხისათვის ეს საჭირო პროფესიები, ყველას თვალი უცხოეთში წასასვლელად უჭირავს. არ იციან, რომ არაფერი სიხარული არ შეედრება იმას, დაღლილი, მაგრამ შენი შრომით კმაყოფილი, რომ დაბრუნდები ოჯახში, შენ ჯალაბთან ივახშმებ და მშვიდად დაიძინებ საწოლში, ყოველი დღე ახლობლებში და ნაცნობებში ცხოვრობ. ყველას ვურჩევ მშობლიურ ეზო-კარს მიხედონ, თუ შრომა გიყვარს და გულიანად გაირჯები, აქაც შეიძლება სამუშაოს შოვნა და რიგიანად ცხოვრება.

ცხონებული ოტია იოსელიანის სიტყვები მახსენდება, გაჯავრებული რომ ამუნათებდა თანამოძმეთ: „სახლში დაეტიე და შენს გაჭირვებას შენვე მოუარე, კი არ გამოკეტო სახლის კარი! რომ მიადექ ვინცხას სამათხოვროდ“-ო.

მეც და ჩემი მეწყვილე მალხაზი დღემდე საკუთარი მარჯვენით ვარჩენთ ოჯახს. კაცის და ღვთის შეწევნით კარგა ხანია მშვიდობაა ქვეყანაში და მშვიდობიანობის ვითარებაში ბევრი სიკეთე შეიძლება აკეთო კაცმა.

ყველა გვიცნობს, პატივს გვცემს, კმაყოფილია ჩვენი ნახელავით და ამაზე კარგი რა უნდა იყოს.

შრომის მადლი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ ყველას.

გვერდის ავტორი
ი. ერაძე

ბებიობა...

სტუდენტური სიყვარული 1985 წელს ქორწინებით დამთავრდა. თერჯოლელმა გელა გაბეხაძემ ბევრი ჭიათურელის (და არა მარტო) ოცნების ქალი—მანანა წერეთელი თერჯოლაში ჩამოიყვანა. ახალდაქორწინებულებს სამუშაო სჭირდებოდათ და ორივემ განცხადებით რაიკომის პირველ მდივანს მიმართა. მხეიძეს მოეწონა წყვილი და დახმარებას დაპირდათ, იქვე გასცა შესაბამისი დავალებები და დროულად მოიკითხე რეაგირებაო—დამავალა. მადლიერ წყვილს მანანასათვის სასიამოვნო, გელასათვის ცოტა უსიამოვნო პირველი მდივნის ხუმრობა—რა გაგიჭირდა წერეთელს გაბეხაძეს რომ გაყევი ცოლადო—მანანას მოსწრებული პასუხი—სიყვარული გამიჭირდა ბატონო მდივანოო—მთელ თერჯოლას მოვუყევი.

და დამკვიდრდნენ თერჯოლაში. გაჩნდნენ შვილები: გვანცა, თამთა, ნანა, გიორგი. ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ 2014 წელს 55 წლის ასაკში გელა გარდაიცვალა. გაუორმაგდა მანანას შრომაც და პასუხისმგებლობაც ოჯახის, შვილების, საზოგადოების, საახლობლოს წინაშე. ღირსეულად გაართვა თავი ოჯახის წინამძღოლობას, შვილებს განათლება მისცა და ახლა ოთხივე დაოჯახებულია. გელა ვერ მოესწრო შვილიშვილების დაბადებას, მანანა კი ცხრაგზის ბებიაა. აი ისინი: გვანცასა და თემურის შვილები: ლაზარე დაბადებული 2016 წლის 26 დეკემბერს, მარიტა—2021 წლის 27 დეკემბერს, კესანე—2024 წლის 19 თებერვალს. თამთასა და რატის შვილები: მარიამი დაბადებული 2019 წლის 21 ნოემბერს, ანა—2021 წლის 11 აგვისტოს, მართა—2024 წლის 2 მაისს. ნანასა და დავითის შვილები: ლილე დაბადებული 2024 წლის 6 აპრილს, გიორგისა და ალისას შვილები: დემეტრე—დაბადებული 2018 წლის 16 ივნისს, ალექსანდრე—2020 წლის 23 მაისს.

მანანა წერეთელი ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია მთელს მუნიციპალიტეტში, არის ორი წიგნის ავტორი, წერს შესანიშნავ ლექსებს, მაგრამ ამჯერად მისი პედაგოგობა და პოეტობა წერილის მეორე ნაწილის თემა იქნება. ჯერ ვნახოთ როგორი ბებიაა იგი. რა უპასუხა კითხვას—რა განცდაა შვილიშვილის დაბადება, როგორი შვილიშვილი იყო, როგორი ბებიები გყავდა და რას უსურვებ ბებიებსა და შვილიშვილებს.

მანანა წერეთელი ცხრაგზის ბებია—აი რას ამბობს ის.

„ადამიანი საკუთარ ბედისწერას ვერ შეიცნობს, ვერ გათვლის, რა მოხდება მის ცხოვრებაში, სხვადასხვა ეტაპზე, თუმცა მუდმივად აგროვებს მოგონებებს და გულისა და გონების კარს უღებს ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ავტოგრაფს ტოვებენ მისი სიცოცხლის წიგნში.

მუდამ გვახსოვს ის, ვინც თავისი სასიცოცხლო ენერგია, სიყვარული, მზრუნველობა უშურველად გაიღო ჩვენთვის და საკუთარ თავზე არც უფიქრია.

იმ ძვირფას ადამიანთა შორის, რომლებმაც შეავსეს ჩემი ცხოვრება, ჩემი ბავშვობის განუყოფელი ნაწილის, ჩემი ბებიის ხატება დარჩა ჩემში ფერუცვლელი.

ბაბუები არასოდეს მინახავს, ისინი (აკაკი წერეთელი და ბიქტორ ასანიძე) მეორე მსოფლიო ომიდან არასდროს დაბრუნებულან. მამის მხრიდან ბებია, ქეთევან მაჭავარიანი, შესახედავად მაღალი, სრული და ხასიათით ამაყი ქალი იყო. ბავშვებში მორიდებასა და კრძალვას იწვევდა, თუმცა მუდამ ვახსენებდი მას და მის, ჩემთვის უსაყვარლეს მაჭავარიანთა ოჯახებს საჩხერიდან.

ჩემი ცხოვრების ტკბილი მოგონებები დედულის ბებიას, უსაყვარლეს ნადია ბებიას, უკავშირდება. ამ ჩუმი, მოკრძალებული, სათნო და მშრომელი ქალის გვერდით ვიყავი ბედნიერი და თავისუფალი. ყველგან დავყავდი, ნათესავებთან, მეგობრებთან, მისი სოფლის წილთოს ტყეში, სადაც ერთად ვაგროვებდით შინდსა თუ მოცვს.

ხანდახან, თვალს რომ დავხუჭავ, თითქოს ისევ ჩემს ტკბილ და მზრუნველ ბებოსთან ვარ, ისე მიყვარდა მასთან ყოფნა, დედა და მამა წასაყვანად რომ მომაკითხავდნენ, ვიმალებოდი. ახლაც მესმის მისი დარიგება, შეშინებული კივილიც მესმის, უზარმაზარი ბჟოლის ხის კენწეროზე რომ მოვექცეოდი.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს ამ სოფლიდან გასული ბებიები, რომელთა გულისგულშიც გაიარა ჩვენმა დაბადებამ და ბავშვობამ. ამ მოგონებით თითქოს ვალს ვიხდი მათი ხსოვნის წინაშე.

დროს ვერ შეაჩერებ, მხოლოდ ის შეგიძლია, არ ჩამორჩე მას. ამ სრბოლაში აითვლება ათწლეულები და ხვდები, რომ ბავშვობა და სიყმაწვილე ელვის უმალ წარსულს ჩაბარდა. მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ბავშვობის ფერადები სულში არასდროს ხუნდება და უნდა ეცადო, ბავშვი დიდხანს აცოცხლო შენს არსებაში, რათა სიბერემ არ დაგრიოს ხელი.

ახალგაზრდობის განცდასა და სიცოცხლის ხალისს სწორედ ის პატარები გვინარჩუნებენ, თვითონ რომ გვაქცევენ ხოლმე ბებიებად. ისინი მაშინ გაჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე მეტად რომ მჭირდებოდა სიცოცხლესთან დამაკავშირებელი ძაფების პოვნა. ცხრა უსაყვარლესმა ადამიანმა, სულ სხვა ფერითა და სურვილით აავსეს ჩემი ყოველდღიურობა.

ბებიობა გავალდებულებს, გახასიათებდეს „სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, მოცალეობა“—ყოველთვის და „სიყმე“ პირობითად.

ბებიებო, რომელთაც ეს პატივი უკვე გერგოთ, ან აწი უნდა დაიწკარუნოს ამ ზარებმა თქვენს ოჯახებში, გახსენით გულის კარი და თქვენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების—შვილების შვილები ჩაიხუტეთ. მათ ძარღვებში ნედლდება ჩვენი დაღლილი სისხლი, მათს თვალებში ვჩანვართ ჩვენ ყველაზე დიდები და უნაკლოები, ღმერთს ვთხოვოთ, რომ ეცხოვროთ ჭეშმარიტად თავისუფალ, მაღალი ზნეობითა და განათლებით გაბრწყინებულ საქართველოში.

ჩემს ოჯახში კი, რამდენიც არ უნდა იყვნენ, ყველას ეყოფა ჩემი სიყვარული, ტკბილი იქნება მათთვის დაწერილი ლექსები და ყველაზე კეთილი—მათთვის მიძღვნილი ზღაპრები“.

* * *

ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების გზა რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია. მასწავლებლის, მშობლის, უფროსების მიერ

დაშვებული უნებლიე შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ბავშვის მომავლისათვის. მის სულში გამოიწვიოს ოცნებების მსხვრევა, აღარ იწამოს სიკეთე, გული დაუხშოს ცოდნას, დაკარგოს რწმენა... სწორედ ამიტომ მანანა წერეთლის, როგორც მასწავლებლის ყურადღება მიპყრობლია მოსწავლეების პიროვნების ფორმირებისაკენ, მათ აღზრდაში შეცდომა არ დაუშვია, იგი კარგად ახერხებს კლასის მართვას და მოუთმენლად ელოდება შემდეგ სამუშაო დღეს სკოლაში. მას უყვარს ბავშვები, რადგან ფიქრობს, რომ ბავშვი, რომელიც არ უყვართ, ძალზე განსხვავდება იმ ბავშვებისაგან, რომლებიც უყვართ. სიკეთე და სიყვარული, ეს რელიგიაა, რომელიც უნდა შეასწავლო სკოლაში, სკოლაში სწორედ ისეთი მოსწავლეები ქმნიან პრობლემას, რომლებიც არ უყვართ და არ ენდობიან. მანანა წერეთელს არასოდეს დაუსჯია ბავშვი, თუ დაუსჯია, დაურწმუნებია, რომ იგი იმსახურებდა სასჯელს, აგრძნობინებს სასჯელის სამართლიანობას, არწმუნებს, რომ იგი მიმართულია მისკენ, როგორც სიკეთე.

სკოლა და გაკვეთილები მანანასთვის ყველაფერია, მასწავლებელი ფასდება მოსწავლეთა სწავლის შედეგით, ამ მხრივ კი მისი დამსახურება შეუფასებელია. მისი მოსწავლეები არასოდეს სჯერდებიან ეროვნულ გამოცდებში

მინიმალური ზღვარის გადალახვას. ქართულში, რომელიც არის პირველი გამოცდა ყველა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე—მანანა წერეთლის მოსწავლეები მაღალ შედეგებს აღწევენ. მანანა წერეთელი არსებობს იმისათვის, რომ განუწყვეტლივ ამკვიდრებდეს მოსწავლეში ეროვნულ ღირებულებებს, ის ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ყველაზე მშვენიერზე, ყველაზე ამაღლებულზე, ძლევამოსილზე, გმირობაზე, რაინდობაზე, კლდემამოსილებაზე. მისი ცხოვრება ყოველთვის არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, მაგრამ მუდამ ინარჩუნებდა წონასწორობას და განუწყვეტლივ ანიჭებდა მოზარდებს სიხარულს...

„საუკეთესო გუნდი“—ითქვა სკოლა „მზეკაბანის“ ბოლო ზარის ზეიმზე. ამ საუკეთესო პედაგოგთა წევრია მანანა წერეთელი, ღირსეული დედა, ბებია, პოეზიის დიდი მოყვარული და თავადაც პოეტი, დიახ, პოეტი, წაიკითხეთ მისი ლექსები და დამეთანხმებით, რომ ისინი საუკეთესოა მრავალფეროვნებით, ცეცხლოვანი სტრიქონებით.

მიღწეულით მუდამ უკმაყოფილო...

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო შორენა ტაბატაძისათვის. განსაკუთრებული წესით წარდგენილ იქნა მენტორი მასწავლებლის სტატუსზე და მიენიჭა კიდეც ეს სტატუსი განათლების მინისტრის ბრძანებით. გზა, რომელიც შორენამ გაიარა მენტორობამდე საინტერესოა და მოულოდნელობებით სავსე.

სიქთარვის საჯარო სკოლა, ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. მუშაობდა ჩხარიეწრის საბავშვო ბაგა-ბაღში აღმზრდელად, შემდეგ კი გამგედ. „ჩემი სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკა მშობლიურ სკოლაში დავიწყე, რაც ძალიან დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობა იყო, უნდა მემუშავა ჩემი აღმზრდელი მასწავლებლების გვერდით, რომლებთანაც სულ რაღაც ოთხი წლის წინ მოსწავლის სტატუსით ვიმყოფებოდი. ეს იყო ჩემი პირველი შეხება მოსწავლეებთან, როგორც მასწავლებლის და ყოველთვის სასიამოვნოდ მახსენდება ეს პერიოდი, როგორი სიყვარულით მიმიღო ჩემმა სკოლამ, როგორ მენდობოდნენ მშობლები და ვუყვარდი ჩემს პატარა პირველკლასელებს“—გაიხსენა შორენამ და ამჟამად, როგორც ჩხარის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ერთ-ერთი საუკეთესოა. „სკოლა ჩემი მეორე ოჯახია. სკოლას და მოსწავლეს ვუთმობ დროის დიდ ნაწილს, მუდმივად ვზრუნავ თვითგანვითარებაზე. იყო მასწავლებელი ნიშნავს ბევრი ისწავლო და მერე ასწავლო სხვას“. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ უმაღლესი დანიშნულება მისი უპირველესი მოცემულობაა. არასდროს არის ერთ ადგილზე, შორენა მუდმივად ვითარდება, 2019 წელს გაიარა დაკვირვების, კვლევის და სკოლაში განხორციელებული აქტივობებით დაგროვილი კრედიტების შედეგად მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, როგორც ვთქვით ახლა მენტორია.

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით კლასებთან უწევს მუშაობა, მოსწავლეები ჩართული ჰყავს არაფორმალურ განათლებაში. სხვადასხვა შიდა სასკოლო თუ სკოლათშორის პროექტებში. წელს სადამრიგებლო პირველ კლასთან ერთად წარმატებით განახორციელა პროექტი „ეს მოქარგული ანბანი“. პროექტში ჩხარის №2 საჯარო სკოლასთან ერთად ჩართულნი იყვნენ ხაშურისა და რუსთავის სკოლების პირველკლასელები. სიმბოლური იყო ისიც, რომ სკოლების შემაჯამებელი შეხვედრა შედგა ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში. პროექტში განხორციელებულ აქტივობებს შორის საინტერესო იყო იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილ წიგნზე მუშაობა, რომელიც ერთობლივად შეიქმნა მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის აქტიური ჩართულობით. პროექტის დასრულების შემდეგ, ხელით შექმნილი „დედაენა“ საჩუქრად სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა, წიგნი საუკეთესო თვალსაჩინოებაა და დიდ დახმარებას გაუწევს მომავალ პირველკლასელებს და მის მასწავლებლებს. შორენა ტაბატაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლებთან კოლეგიალურ დამოკიდებულებას, იყო და არის მათი მხარდამჭერი და წინსვლაში ხელშემწყობი, წლების მანძილზე ფასილიტატორი, მაძიებელი მასწავლებლის ტუტორი, ჰყავდა პრაქტიკანტები და უზიარებდა მათ თავის მდიდარ გამოცდილებას, ჰყავს მასწავლებელთა ჯგუფი, სადაც 15000 წევრია და აწვდის მათ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს, თავის შექმნილ სასწავლო რესურსებს. ატარებს სასწავლო შეხვედრებს ელექტრონული რესურსის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. არის მათემატიკის გრიფირებული სახელმძღვანელოს „მე მიყვარს მათემატიკა“ სარედაქციო გუნდის წევრი. სპეციალურად ამ წიგნისათვის შექმნა ელექტრონული სავარჯიშოები, რომელთა დახმარებითაც საქართველოს უმეტეს სკოლებში მოსწავლეები ხალისით ეუფლებიან მათემატიკის საკითხებს. „ყოველი ჩემი და ჩემი მოსწავლეების წარმატება სტიმულს მაძლევს ვიყო უფრო აქტიური. არაფერია მიუღწეველი თუ მიზანს სწორად დაისახავ და იბრძოლებ მისი მიღწევისათვის, მოსწავლეებსაც ასე ვასწავლი—ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობის, ყოველთვის წააქეზონ საკუთარი თავი სიტყვებით: „მე ამას შევძლებ, მე ეს შემიძლია“.

ასეთია შორენა ტაბატაძე, ჩხარის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი, მისი მოსწავლეები ხალისით, ინტერესით ეუფლებიან დედაენას, არა იაკობისეულს, მაგრამ კარგად იცნობენ სასიქადულო მამულიშვილს, უკვდავი, განუმეორებელი დედაენის შემდგენელს, იცნობენ მსოფლიოში აღიარებულ ავტორს დედაენისას, რომელმაც მსოფლიო საანბანე სახელმძღვანელოთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და მადლიერმა ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა.

შორენა და ვერც ერთი დაწყებითი კლასის მასწავლებელი ვერაფერს იზამს, ასწავლიან ერთადერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომელიც არ არის იაკობისეული.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ხვალინდელი უკეთესი დღის იმედით...

ისინი ახლა 66-67 წლისანი არიან, ხშირად იკრიბებიან, ყოველ ხუთ წელიწადში და ღრმავდება ურთიერთობები, ისევ ისე უყვართ ერთმანეთი, როგორც პირველ კლასში და მთელი 12 წელი. ეს სიყვარული არ განელებულა, პირიქით, ასაკმა, ოჯახმა, შვილებმა და შვილიშვილებმა ერთმანეთს უფრო დააახლოვათ, ჭირსა და ლხინს ნაზიარებნი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულნი უკეთ იცნობენ ერთმანეთს.

სიქთარვის საჯარო სკოლა, ახლანდელი დირექტორი ია კვატაია, ყოფილ კურსდამთავრებულებს ელოდა და მათ მისაღებად მზად იყო... წითელი ხალიჩა, ყვავილები და საკლასო ოთახიც, სადაც მათ პედაგოგებს მაგული აბჟანდაძეს და მზია ერგემლიძეს სია უნდა ამოეკითხათ, მათემატიკის ან უცხო ენების ცოდნა კი არ უნდა შეემოწმებინათ, არამედ ცხოვრების გაკვეთილი მოესმინათ.

მერხებზე კი ისხდნენ: დოდო აბაშიძე, თენგიზ აბულაძე, აზა აბულაძე, კოტე ამაშუკელი, ნინო გაგულაშვილი, მანანა ბოგვერაძე, ცეზარი ვერულაშვილი, ალეკო სირბილაძე, დავით ტოფაძე, ბადრი ცხადაძე, მურმან ცხადაძე, ოთარ უკლება, ვიტალი ისაკაძე, დარეჯან მაჩიტიძე, ირინა რობაქიძე... თითოეულმა გაიხსენა

მოსწავლეობის წლები, ერთმანეთს უამბეს ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, სამსახურებზე. პედაგოგებმა მაგულიმ და მზიამ მიმართეს მათ, მიულოცეს სკოლის დამთავრების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და წარმატებები უსურვეს. გაიხსენეს მათი მოსწავლეობის პერიოდები, ვინ როგორი იყო, ვინ როგორ სწავლობდა, აღმოჩნდა, რომ ყველამ მონახა თავი და ადგილი ცხოვრებაში, ცუდი არავის უკეთებია, ყველას ღირსეულად უცხოვრია.

1974 წლის კურსდამთავრებულთა პედაგოგებიდან მხოლოდ ქალბატონი მაგული და მზიაა ცოცხალი, მე პიონერხელმძღვანელი ვიყავი, ხანდახან ისტორიის გაკვეთილებსაც ვუტარებდი და მოვხვდი ამ შეკრებაზე, ჩემთვის, მაგულისთვის, მზიასთვის ეს დღე ერთ-ერთ საუკეთესო დღედ ჩავთვალეთ და სამადლობელიც არ დავიშურეთ. აქ „ცხოვრების გაკვეთილზე“ გაიხსენეს პედაგოგები, რომლებიც სხვადასხვა წლებში ასწავლიდათ, პედაგოგთა და თანატოლების საფლავებიც მოუნახულებიათ, ყვავილებით დაუფარავთ და ჭიქა ღვინით დაუსველებიათ საფლავის ქვა.

მერე იყო უხვი სუფრა, ოთარ უკლებამ ქართული სუფრის ყველა წესის მიხედვით ითამადა, წესრიგი და ამასთან სრული თავისუფლება ბოლომდე გასდევდა სუფრას, აქაც გაიხსენეს გარდაცვლილები—მზია აბულაძე, თემურ სირბილაძე, რეზო ვარდოსანიძე, შალვა კახიძე, ნიკო გოგლიჩიძე, ფირუზი აბულაძე და პირველი მასწავლებელი გოგოცა წერეთელი. შეაქეს და მოეფერნენ ია კვატაიას, რომელსაც ამ კურსდამთავრებულების ერთი ნაწილი კარგად იცნობდა. გათხოვილები კმაყოფილები დარჩნენ გაცნობით, ია მოეფერა ნაცნობებსაც და უცნობებსაც, რძლებს, სიძეებს, მათ შვილებს... მოეწონათ ახალი სკოლა, მაგრამ ჩემი ხის სკოლა ყველაფერს მირჩევნიაო—თქვეს, ბევრს დედა ენაც შენახული ჰქონია, პირველი კლასის სურათებიც...

შეისვა მშვიდობის, იმედის, მომავლის, რწმენის, სამშობლოს, სიყვარულის, ერთგულების, გატანის, მეგობრობის, ხვალინდელი დღის სადღეგრძელო...

პატარ-პატარა კურიოზები

სხვაობა ასაკში ამ კურსდამთავრებულებს და მაშინ ახალგაზრდა პედაგოგებს შორის 10-12 წელი იყო—უფრო მეგობრობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის, გვიმხელდნენ საიდუმლოს, ვიცოდით ვის ვინ უყვარდა, ვინ ვის ეპრანჭებოდა, კარგი თაობა იყო, კარგად სწავლობდნენ, იყვნენ ზარმაცებიც, ერთმა, რომელიც რამდენჯერმე დარჩა კლასში, ჩემს კითხვას—რამდენ ბანკეტზე უნდა გნახოთქვა—მიპასუხა—რა ვქნა, ოთხ თაობასთან ვსწავლობდი, ზოგს დავეწიე, ზოგი დამეწია, მომკლა ამდენმა ბანკეტებმაო.

ერთ გოგონას ე.წ. გარდაცვლილი გუგუშა კვატაია ორიანს უწერდა. გაფიცებ ლეუკოს თუ დამიწერო ორიანიო, შეეხვეწა თურმე მოსწავლე. დაეყრდნო გუგუშა დანჯღრეულ რკინის მერხს და უთხრა—ფიცი არ მწამსო, მაშინ რკინას ხელიო და ასე გადარჩა ორიანს.

ლამაზი დღე იყო, დასამახსოვრებელი, ჩვენთვის განსაკუთრებული—დაგვპირდნენ, რომ ორმოცდათხუთმეტი წლის აღსანიშნავ ღონისძიებაზედაც აუცილებლად დაგვპატიჟებენ, ეს არავინ იცის, ღმერთის მეტმა.

მანამდე კი მაგულის, მზიას, ჩემს სახლში ერთ-ერთ საუკეთესო სამახსოვროდ დარჩება სუვენირი, როგორც სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად გადმოგვცეს ყვავილების კალათთან ერთად.

როგორც წესი ამ შეხვედრასაც სჭირდებოდა თავის მომბმელი და ორგანიზატორი—კოტე ამაშუკელი, მურმან ცხადაძე—უფრო აქტიურობდნენ თურმე, მადლობა მათ და თითოეულს.

P.S. ხაზგასასმელია, რომ სიქთარვის საჯარო სკოლის არც სხვა წლებში კურსდამთავრებულები ივიწყებენ ერთმანეთს, მშობლიურ სკოლას.

ქვემოთ სწორედ ამ სკოლის 1978 წელს კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე მოგითხრობთ...

სიქთარვის საშულო სკოლის 1978 წელს კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე, ყოფილმა პედაგოგებმა: ცისანა ქოჩიაშვილმა, მაგული აბჟანდაძემ, მზია ერგემლიძემ გაიხსენეს, რომ იმ წელს, დამამთავრებელ ორ კლასში ორმოცი მოსწავლე სწავლობდა და თითოეული რაღაცით იყო გამორჩეული—ზოგი სწავლით, ზოგი ყოფაქცევით, იყვნენ ცელქ-ზარმაცნი, მაგრამ ყველამ მონახა თავისი ადგილი ცხოვრებაში, რადგან სიქთარველმა მაშინდელმა პედაგოგებმა კარგად შეასრულეს მასწავლებლის ვალდებულება მოსწავლეების წინაშე, სწორედ ეს კლასელები შეიკრიბნენ. ახლა 62-63 წლისანები არიან, ზემოთჩამოთვლილ პედაგოგებს და მეც, მათ პიონერხელმძღვანელს, გვქონდა ბედნიერება, დიახ, ბედნიერება ვყოფილიყავით მათთან ერთად.

განვლილი წლები არ არის ცოტა, მაგრამ გაგვახსენდა თითოეული მათგანი, თვითონ კურსდამთავრებულებმა ხომ კარგად იციან სკოლის შემდგომ წლებში ერთმანეთის ცხოვრება, რადგან ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და აქვთ ერთმანეთთან

სხვა კავშირებიც...

სიქთარვის საჯარო სკოლაში შეიკრიბნენ, დახვდათ სკოლის დირექტორი ია კვატაია, რომელსაც მათთვის ცხადია არ უსწავლებია, მაგრამ, როგორც ერთი სოფლის მკვიდრნი, ბევრს იცნობდა, თან ძალიან კარგად. იამ ტრადიციულად მათ წითელი ხალიჩა დაახვედრა, ყვავილები და საკლასო ოთახი, სადაც შეიკრიბნენ და გაიხსენეს წარსულის წლები. სკოლა მოეწონათ, მაგრამ ძველი ხის შენობა, რომელშიც პირველმა მასწავლებელმა გოგოცა წერეთელმა, აი-იას აზიარათ, შემდეგ წლებში კი ქეთო სტურუამ წააკითხათ პირველი წინადადებები და პატარ-პატარა მოთხრობები, წარსული მათი ტკბილი მოგონებაა—მაინც ის ძველი, ნახევრად დანგრეული და დაზიანებული შენობა და მერხები გვენატრებაო, იმ პერიოდში ჩხარი-ეწრის უბანშიც იყო ოთხწლიანი სკოლა, მეხუთე კლასში შეუერთდნენ ერთმანეთს და გაცნობა-შეგუების პროცესიც გაიხსენეს. მერე გარდაცვლილი პედაგოგები და თანაკლასელები გაიხსენეს—ბევრი გვაკლიაო თქვეს დანანებით და მოინახულეს რამდენიმეს საფლავი, პატივი მიაგეს თითოეულს: მარინა ცხადაძის, გია კვატაიას, ფრიდონ რობაქიძის, ავთანდილ რობაქიძის, ნინო ლელაძის, ნუგზარ რობაქიძის, რუსუდან აბულაძის ნათელ ხსოვნას—რა კარგები იყვნენო—გაიხსენეს.

მერხებზე კი ისხდნენ: თამაზ არაბიძე, მალხაზ აბულაძე, შალვა ბეღელაძე, გია ვერულაშვილი, ტარიელ კვატაია, ბორის კვატაია, ცირა ლანჩავა, გურამ, მაია, მანანა მემანიშვილები, ელიზბარ წერეთელი, ლეილა, ირინა სირბილაძეები, დათო ტოფაძე, ოთარი, ნინო, მზია რობაქიძეები, როზა გაგულაშვილი, გია ვერულაშვილი, ლეილა, მაია გოგლიჩიძეები, რეზო ჯიხვაშვილი, დოდო ცხელიშვილი, გელა ცინაძე.

თითოეულმა გაიხსენა მოსწავლეობის წლები, ჰყვებოდნენ თავის თავზე, ერთმანეთზე, პედაგოგებზე, გარდაცვლილებზე, მიუხედავად ხშირი შეხვედრისა, როგორც ბანკეტზე, სოფელში, მეზობლურ შეხვედრებზე, ხშირი, სატელეფონო საუბრისა, მაინც ძალიან მონატრებიათ ერთმანეთი, მეხსიერებას შემოუნახავს ყოველი წვრილმანი, საუკეთესო ტკბილი მოგონებები, „შატალოები“, ორიანის მიღების პატარ-პატარა დანაშაულებების გამო მშობლის დაბარების გამო შიში, ხუთიანის მიღების გამო სიხარული, საკონტროლო წერის, გამოცდის დროს კარნახის სიტკბო და ათასში ერთხელ გაკვეთილების მომზადებისას მოსული შუაღამე ან ალიონის სიგრილე... „სულ სხვაა ფიზიკურად ერთად ყოფნის ხიბლიო“—თქვეს და კვლავ და კვლავ ეფერებოდნენ ერთმანეთს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მხიარულობდნენ.

ელიზბარ წერეთელი კარგი თამადა გამოდგა, ითქვა ტრადიციული და თავისუფალი სადღეგრძელოები, კვლავ და კვლავ ერთმანეთის მოფერება, „სიყვარულის გამჟღავნება“, წარსულის გახსენება, ხვალინდელი უკეთესი დღის იმედი.

ჟუჟუნა ცხადაძე

ნაირა ჩინჩალაძე —90

ვერ გეტყვით, რომ ოთხმოცდაათი არაფერია, მაგრამ შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო, ძვირფასი ოჯახის, შვილების, შვილიშვილების და მათი შვილების გარემოცვაში. სიყვარულით გარემოსილს, ყველას წინაშე ვალმოხდილს აწი გინდა სიცოცხლე, დასვენება და ახლობლების ბედნიერებით ტკბობა.

მიიღე მილოცვები, უამრავი ნაცნობ-მეგობრის კეთილი სურვილები, სამადლობელი.

საინტერესო, შინაარსიანი და მისაბაძი ცხოვრება გქონდა. მაინც როგორ ართმევდი თავს უამრავ საქმეს სამსახურებში, სახლში. მეგობრებისათვის ხომ ყოველთვის გქონდა დრო, ზეპირად იცოდი (იცი დღესაც) უახლოესი მეგობრების დაბადების თარიღები, დღემდე ვერავინ გასწრებს მილოცვას, მოკითხვას, ხელის გამართვას და ავადმყოფობისას მონახულებას.

ჩვენ, შენმა უახლოესმა, ცოტა უმცროსმა მეგობრებმა ბევრი ვისწავლეთ შენგან, ვისწავლეთ ავ-კარგი, მაგრამ ვერ „გაჯობეთ“, როგორც ერთი, საერთო ნაცნობი, რომელიც რეიტინგებს ადგენდა, იტყოდა, „რა ვქნა გოგოებო, ისევ გაგისწროთ ნაირამ—ცემენტიანი სამასვალით წავიდა პანაშვიდზე ტყიბულშიო.

რიგითი თანამშრომელიც იყავი და თანამდებობებიც გქონდა, ხელმძღვანელადაც გიმუშავნია და ყველგან უნარიანად, ერთგულად და კვალიფიციურად აკეთებდი საქმეს. ჩვენი ნაცნობ-მეგობრობა 50-60 წელს ითვლის. შეინარჩუნო მეგობრობა ნახევარი საუკუნე და მეტიც, არ არის ადვილი, ისეთი წყენა, რომელიც დაგვმახსოვრებოდა და გაგვყოლოდა, ერთმანეთთან არასოდეს გვქონია. რა საწყენი იყო, მაგალითად, სადმე პანაშვიდ-გასვენებაში თუ არ გვინდოდა წამოსვლა და გვაიძულებდი, შენ არ იყავი, სადილობისას თეფშის მაგივრად ცარცის ფურცლებზე ჭამას რომ მიგვაჩვიე?

ოთხმოცდაათი წლის ხარ ჩვენო კარგო მეგობარო, ოდნავ გიმტყუნა ენერგიამ, ენერგიამ დაუოკებელმა, წლების განმავლობაში რომ გსდევდა და უმკლავდები პატარ-პატარა ავადმყოფობას. წლებმა შენს აზრს და გონებას ვერაფერი დააკლო „ათჯერ რომ მოაყოლო ერთი და იგივე ამბავი, სიტყვას არ გადაადგილებსო“—გაიხსენა ერთმა და ზუსტად გამოხატა სათქმელი.

გარკვეული მიზეზების გამო შეგეცვალა გეგმები, დაბადების დღე ვიწრო წრეში გადაიხადე, არავინ მოგიწვევია, მაინც მოვიდნენ უახლოესი ადამიანები. შენს ირგვლივ ერთადერთი აზრი ჩამოყალიბდა—მისაბაძი, საიმედო, გულითადი, მომკითხავი, მოსიყვარულე, მოჭირნახულე, კარგი დედა, ბებია, პატივისმცემელი ადრე გარდაცვლილი მეუღლის საფლავის, „არ ვიცი სიძულვილი რა არისო“—თქვი და ეს ნამდვილია.

ოთხმოცდაათი წლის სიმძიმეს იოლად უძლებ, კიდევ ერთი ათიც და საუკუნე მოგიკაკუნებს.

ოღონდაც, ძვირფასო მეგობარო! გილოცავთ და ბედნიერ გასავლელ წლებს დაგილოცავთ.

უახლოესი მეგობრები

რას ამბობენ შვილები

ოთხმოცდაათი წელი არ არის ცოტა, მაგრამ, როგორც შენი მეგობრები ამბობენ, შენნაირმა სამაგალითო ადამიანმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, გაკეთებული კეთილი საქმეებისათვის.

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარე შენს „უთვალავ“ შთამომავლობასთან ერთად, ჩვენთვის დღესაც მუხლჩაუხრელად შრომობ და ერთგული მომკითხავი ხარ.

შვილები: მაია, მანანა, მადონა ქოჩიაშვილები

ნაირას მეგობრებისადმი

თქვენი მეგობრობა უამრავი წლის წინ დაიწყო და უსასრულოდ გრძელდება. ჩვენ გვერდით იყავით ჭირსა და ლხინში. ყველაფერი ახლა ეს ჩვენში, თქვენ შვილებში გრძელდება. მადლობა თქვენ ამ ერთობისათვის, სიყვარულისათვის, ჩვენი დედის იუბილის გალამაზებისათვის, გვიყვარხართ განურჩევლად.

შვილები, შვილიშვილები

აგვისტო მარიამობის თვე

ამ დღეებში საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება, განსაკუთრებული ხალხმრავლობა კი ფერიცვალებისა და მარიამობის (მიძინების) სახელობის ტაძრებშია.

პატარა ცნობარი

ისტორიული წყაროების მიხედვით თერჯოლის რაიონში სხვადასხვა საუკუნეებში აიგო და მოქმედებდა ფერიცვალებისა და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიები—საზანოში, გოგნში, სიქთარვაში და ღვანკითში. დღეს ორია მოქმედი. სიქთარვის ფერისცვალების სახელობის ეკლესია (მე-17 ს.) და ღვანკითის დედაღვთისა (შუასაუკუნეები).

ფერისცვალება—სიქთარვის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში

19 აგვისტოს სიქთარვის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში მრევლი დილიდან შეიკრიბა, წირვა-ლოცვის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. საერთო საზეიმო განწყობის კიდევ უფრო ამაღლებას ხელს უწყობდნენ სტუმრები: ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგიმ (შალამბერიძე), ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე), სხვა მღვდელმთავრები და დიაკვნები.

წირვა-ლოცვა აღავლინა ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ (შალამბერიძე), დეკანოზებმა: მარტინმა (ლომთაძე), დავითმა (ჭანტურიძე), მღვდლებმთავრებთან

და დიაკვნებთან ერთად. (ამ დღეებში ქვ. სიმონეთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა გიორგიმ (შალამბერიძე) აღავლინა წირვა-ლოცვა და მღვდელი დავით ჭანტურიძე დააჯილდოვა გაბრწყინებული ჯვრით და აიყვანა დეკანოზის ხარისხში. ვულოცავთ მამა დავითს ამ ჯილდოს და ამ ხარისხს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს მსახურებაში, მრევლთა სიმრავლეს... გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციისათვის პატივია, რომ მამა დავითი თანამშრომლობს ჩვენს გაზეთთან, ეს თანამშრომლობა გაგრძელდება).

დეკანოზებმა მრევლს განუმარტეს ფერისცვალების უდიდესი დღესასწაულის შესახებ: იესო ქრისტეს ერთგულ მოწაფეებს ძალიან ეძნელებოდათ იმის დაჯერება, რომ დიდ მოძღვარს მოელოდა წამებით სიკვდილი მაცხოვარმა საჭიროდ ცნო თავის მიმდევართა რწმენის განმტკიცება და გადაწყვიტა გამოეჩინა ღვთაებრივი ძალა. როდესაც ქრისტე მოწაფეებთან ერთად მივიდა თაბორის მთასთან, სხვები დატოვა, თან იახლა პეტრე, იაკობ და იოანე და აღიყვანა ისინი მთასა მაღალსა. მაცხოვარმა მხურვალე ლოცვა აღავლინა მამა ღმერთისადმი. ამ დროს იესოს პირსახე შეიცვალა და მისმა სამოსელმაც კი სპეტაკი ფერი გამოსცა. ქრისტეს გვერდით დადგნენ წინასწარმეტყველნი მოსე და ელია. პეტრემ ამ დიდებულ ადგილზე კარვების დადგმის უფლება თხოვა მოძღვარს. „კეთილ არს ჩვენდა აქა ყოფა, ვქმნათ აქა სამ ტალავარ—ერთი შენდა, ერთი მოსეს, ერთი ელიასა“. უცებ გამოჩნდა ღრუბელი, ერთბაშად აგრილდა, მოწაფენი ვერ ბედავდნენ მის ჩრდილში თავის შეფარებას. ღრუბლის მიღმა მოისმა მამა ღმერთის ბრძანება „ესე არ ძეი ჩემი საყვარელი, ამისი ისმინეთ“. აღარსად იყვნენ მოსე და ელია, უფალი მარტო იყო.

მრევლს განემარტა ისიც, რომ ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღვთაებრივი დიდება-ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმინდა ვიდრე მზის სხივები.

ნათელი, რომელიც მათ სულებს საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდით და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღვთაებრივი ნათელით.

ფერისცვალება—სულიერი დღესასწაული

ტაძარში ხშირად ისმოდა სიტყვები—მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი. ძალისაებრ მათისა და გამოგვიბრწყინე ჩვენ, ცოდვილთა, ნათელი შენი მოუჩრდილებელი, მეოხებითა ღვთისმშობელისათა, ნათლისა მომცემელო უფალო, დიდება შენდა.

გაძლიერებული ლოცვით—„უფალო შეგვიწყალენ“ დაილოცა პატრიარქი, საპატრიარქო, მეუფე გიორგი, სტუმრები, ერი, მთავრობა, მხედრობა, ყველა ქრისტიანის შეწყალება და კეთილდღეობა ეთხოვა უფალს. რამდენჯერმე შესრულდა ლოცვა ფერისცვალებისა—„უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ნათელო მიუწვდომელო, ბრწყინვალებაო მამისა დიდებისაო და ხატისა მისისა“, „რაჟამს მოაწია აღსრულებამ ჟამისა, გულმოწყალების გამო თავი დაიმდაბლე, ხატი მონისა მიიღე და სიმდაბლითა და მორჩილებითა სიკვდილიც იგემე“...

* * *

ფერისცვალების დღეს—ტაძრები უხილავათ ივსება ანგელოზებით, წმინდანებით და ყველა ერთად თავისი წმინდა საფარველით გვიფარავენ. „სიბრძნით აღემართენით“, „მშვიდობა ყოველთა“, ისმოდა ტაძარში, მგალობლები გალობდნენ რჩეულ საგალობლებს, ფსალმუნებს, მრევლიც ერთხმად იმეორებდა „უფალო შეგვიწყალენ“, „მოვედით თაყვანი ვცეთ და შევუერთდეთ თვით ქრისტეს, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა“.

მრევლი იმეორებდა ღმერთის დიდებას, გალობას გამოუთქმელი სიხარულისას. მრევლი ეზიარა, ჩააბარა აღსარება, მოხდა ზეთისცხება, ეკურთხა პური და ღვინო, ყურძენი და ხილი, მრევლი ემთხვია ჯვარს და მიიღო წმინდა სეფისკვერი. მრევლი პოულობს ძალას საკუთარ თავში—დაიცვან მარხვა, მიატოვონ საშინაო საქმეები და ეკლესიას მიაშურონ როგორც კი მისი ზარები ჩამოჰკრავენ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწონთ დეკანოზები: მარტინისა და დავითის კეთილი საქმეები, დამოკიდებულება მრევლთან და სულიერი კავშირი, არასდროს დაუმალავთ მათთვის იმის მოყოლა, რაც მოსანანიებლად მიაჩნიათ.

პატრიარქის ქადაგებიდან

„ჩვენ ხშირად ვდგავართ ხან თაბორსა და ხან გოლგოთაზე—ზოგჯერ ადამიანს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდ თანამდებობას ან დიდ სიმდიდრეს შეიძენს, თავი თაბორზე წარმოუდგენია და ყველას ზემოდან დაჰყურებს. სინამდვილეში კი ამ დროს უფსრკულშია და ზემოდან, პირიქით, მას დაჰყურებენ. რა თქმა უნდა ასეთი ადამიანი გოლგოთის აღმართს ვერ გაუძლებს და აუცილებლად დაეცემა. გოლგოთაზე ჯვრის ატანას მხოლოდ ის შეძლებს, ვინც მართლაც თაბორის მთაზე მდგარა და ჭეშმარიტი ფერისცვალება განუცდია, რადგან მას ამ დროს ღვთის ძალა და მადლი შეეწევა. თუ დღეს განსაცდელში ხარ, ნუ დაგავიწყდება, რომ განსაცდელს ნუგეში და სიხარული მოსდევს, ხოლო თუ სიხარული და ბედნიერება არ გაკლია, ნუ გაამაყდები, რადგან წინ შეიძლება განსაცდელი გელოდებოდეს. ადამიანის ცხოვრება ხან დაცემითა, ხან აღდგომათა გაბმულ ჯაჭვს წარმოადგენს“.

მეუფე გიორგი

მეუფე გიორგიმ მრევლს წარუდგინა მეუფე დოსითეოსი, მადლობა გადაუხადა და თხოვა მას ბელგიასა და ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველების სულიერების გაძლიერება, რომ ლოცვებში ხშირად მოიხსენიოს ქართველები. თავის მხრივ მეუფე დოსითეოსმა გამოხატა სიხარული, რომ მესამედ ესწრება ფერისცვალების დღესასწაულს და მსახურებს ქართულ ტაძარში, აღუთქვა, რომ მფარველობას გაუწევს ამ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებს.

დასასრულს მეუფე გიორგიმ იქადაგა, დასამახსოვრებელი

იყო მისი ქადაგება.

დამთავრდა წირვა—გამოგვყვა რწმენა, რომ მეტი დრო უნდა დავუთმოთ სულიერ ცხოვრებას, გვქონდეს ნაზი და მგრძნობიარე გული, გვესმოდეს ზეცის ხმა, ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ვიყოთ სიმართლის მხარეზე, გვქონდეს მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, საკუთარ თავთან, ვიფიქროთ საკუთარ თავზე და სხვებზე... ვემზადოთ სამარადისო ცხოვრებისათვის...

ღვთისმშობლის მიძინება

ღვთისმშობლის აღსასრულს ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან მან სულ ცოტა ხნით მიიძინა და ძილისაგან აღსდგა. ღვთისმშობელმა ბუნების კანონებს სძლია. მიწისაგან შექმნილი სხეულის კვლავ მიწად ქცევა—მის გვამს არ შეხებია. მან მიიძინა, რადგან ნეტარი მარადიული სიცოცხლისათვის გამოეღვიძა, რათა ჩვენი სულები ლოცვით იხსნას მარადიული სიკვდილისაგან. დაუძინებლად მლოცველი ღვთისმშობელი მარიამი გვშუამდგომლობს და მწუხარებისას რწმენას გვაძლევს ნუგეშად.

ღვთისმშობლის ქვაში გამოკვეთილი საფლავი, ისევე როგორც საფლავი მისი ძისა, ყველა მორწმუნისათვის თაყვანისცემის საგნად დარჩა. 28 აგვისტო თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორისაა, რადგან ამ დღეს მაცხოვარი ყოველთა მიეგებება დედას ღვთისას თავისას და თავის სავანეში დაასახლა იგი.

ღვთისმშობელი მარიამი მეოხია ყველა ქრისტიანის, რომელიც მიმართავს... და მიმართავენ წმინდა მარიამს ქრისტიანნი. ყველა ტაძარში ამ დღეს წირვა-ლოცვა აღევლინება და მრევლი შესთხოვს მას—არ მოაშოროს ყოვლისშემძლე ხელი თავისი, რათა არ გადავეშვათ ცოდვიდან—ცოდვაში, „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნე ჩვენ“, „დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა“, „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“—ისმის ტაძრებში და ერთია მრევლის პასუხი—„ამინ“, „გიხაროდეთ, მე მუდამ ვიქნები თქვენთვის მლოცველი ღმერთის წინაშე“—უთხრა მოციქულებს და დღესაც ლოცვით გვაძლევს რწმენას.

ჟუჟუნა ცხადაძე

შალვა (შაკო) მეფარიძე



ერთი წელი შესრულდა შალვა მეფარიძის გარდაცვალებიდან, ჩვენ, ძევრულჰესის თანამშრომლებს ჯერაც არ მოგვშუშებია იარა. ლახვარი იყო ჩვენს გულებში მისი ტრაგიკული დაღუპვა. შალვა კვალიფიციური სპეციალისტი და ერთგული მეგობარი იყო, ყველა უყვარდა, გვიყვარდა ჩვენც.

2019 წლიდან მართვის ფარის ოპერატორად მუშაობდა და პასუხისმგებლობით ასრულებდა მინდობილ საქმეს, კარგად ესმოდა თავისი უფლება-მოვალეობები და უფროსების ნდობას და პატივისცემას იმსახურებდა.

დაგვაკლდა და გვენატრება კეთილი, მუდამ მომღიმარი და ხალისიანი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული შაკო. იგი მარტო ჩვენ კი არა, მთელ სოფელს უყვარდა და მტკივნეულად განიცადა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. ჰყავდა დიდი სამეგობრო, საახლობლო და ღირსეული ოჯახი.

ჩვენ ხშირად მივალთ შაკოს საფლავზე, პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას და გავიხსენებთ რა კარგი იყო. მის სახელს დავიწყების ჩრდილი არასდროს გადაეფარება. ნათელი გქონდეს ჩვენო შაკო შენს სამარადისო ძილში.

ძევრულჰესის თანამშრომლები

კვლავ „ნინველებზე“— მომავალ შეხვედრამდე!

3 ☞

უჩა გვენეტაძე:

„ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მასწავლებლისთვის, უბრალოდ ადამიანისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოზიტიური ენერგია, რომელიც სწორედ ახალგაზრდობაში, საქართველოს მომავალშია დაგროვებული და ჩვენ უნდა მივცეთ მას ფართო გზა, სწორედ ეს იყო ჩემი ყოფნის აზრი ამ არაჩვეულებრივი ადამიანების გარემოცვაში.

უზომოდ დიდი კომფორტია, როცა გიწევს თანამოსაქმეობა ადამიანთან, რომელიც საქმეში თავის მაქსიმუმს დებს, ნდობას გიცხადებს და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ადამიანის პიროვნული თვისებები ჩემლის ინიციატივითაც ჩვენი რაიონის 60 სუპერ ადამიანს ეს დღეები სასიამოვნო მოგონებად ექცა.

არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ჩემი სკოლის დირექტორს, ჩვენი ქალაქის მაჟორიტარს, ქალბატონ ელისო მურადაშვილს, რომელიც ჩემი ყველაზე დიდი თანამდგომი და საყრდენია. მადლობა შესაძლებლობისთვის, ურთიერთობა მქონოდა ჩვენი რაიონის მომავალთან და მათთვის ჩემი ღირებულებები მცირე დოზით მაინც მიმეტანა.

ახლა კი ჩემთვის ყველაზე ტკბილ ნაწილს ვიწყებ.

ჩემო ძვირფასო ნინველებო, ჩემო „ლეგიონერებო“! თქვენს ლიდერებს, მე და ნანოს, თქვენ იმდენი რამ ასწავლეთ, იმდენი რამ გააბედინეთ, იმდენი რამ შეაძლებინა თქვენმა სიყვარულმა და თანადგომამ, ჩვენმა თავდაპირველმა შეხვედრამ, რომ კარგად გავითავისეთ—ადამიანთა დამარცხება შეუძლებელია, თუ ადამიანად დარჩები და სწორედ ამაზე ავაგეთ ჩვენი ლეგიონერების პრინციპი. -

ჩვენ არ ვმარცხდებით, ჩვენ ადამიანებად ვრჩებით!

ჩვენი ოცეული უნიკალური ადამიანებით დაკომპლექტდა, სადაც იყვნენ: „სპორტსმენები“, „მსახიობები“, „მომღერლები“, „მოცეკვავეები“, „მხატვრები“, „სცენარისტები“, ინტელექტუალურ თამაშში გამოცდილები, ულამაზესი, უმშვენიერესი გოგო-ბიჭები, მოკლედ სრულ ფერთა პალიტრა, რამაც ისეთი რამეები „გვაკადრებინა“, შეგვაძლებინა, არ მგონია დაიჯეროთ რომ ეს ასე და ამ ხარისხში, ასე მოკლე დროში დაიდო.

ლეგიონი ლეგიონია. ერთად, სიყვარულით, თანადგომით, პატივისცემით, საქმისადმი დამოკიდებულებით, მივაღწიეთ იმას, რომ გვიყვარს ერთმანეთი, გვაქვს უთვალავი მოგონება, გამოცდილება და ვიცით, აქ არ სრულდება ეს ცემს ძალას, როგორც მე მაძლევდა და მამხნევებდა ამ დროის განმავლობაში.

დიდი იმედი მაქვს, „ნინველები“ ყოველ წელს ტრადიციად დამკვიდრდება, რადგან ასეთ პროგრესულ პროექტებს, იდეებს, არ აქვთ ალტერნატივა. ეს ხომ ჩვენი რაიონის ახალგაზრდობის დაახლოებას, მათ შორის მეგობრობის, თანამშრომლობის ხიდების გადებას ემსახურება.

მადლობა ჩემო ძვირფასებო, მიყვარხართ და ჩემი გული მუდამ თქვენი პოზიტივით და სიყვარულით იქნება განათებული და გამთბარი.

თვის სამაგალითო და შთამბეჭდავია—ქალბატონი მაკა ასათიანი არის ამ ყველაფრის შემოქმედი და სულისჩამდგმელი, თავის გუნდთან და შესანიშნავ ლიდერებთან ერთად.

„ნინველების“ ყველაზე დიდი ქომაგი, გულშემატკივარი, ადამიანი რომელიც ყოველთვის ჩვენთან ერთად იყო, 24/7ზე, მიუხედავად მისი დატვირთული გრაფიკისა, ქალაქ თერჯოლის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე არის ადამიანი, რომ-ნი რამ ასწავლეთ, იმდენი რამ გააბედინეთ, იმდენი რამ შეაძლებინა თქვენმა სიყვარულმა და თანადგომამ, ჩვენმა თავდაპირველმა შეხვედრამ, რომ კარგად გავითავისეთ—ადამიანთა დამარცხება შეუძლებელია, თუ ადამიანად დარჩები და სწორედ ამაზე ავაგეთ ჩვენი ლეგიონერების პრინციპი. -

ჩვენ არ ვმარცხდებით, ჩვენ ადამიანებად ვრჩებით!

ჩვენი ოცეული უნიკალური ადამიანებით დაკომპლექტდა, სადაც იყვნენ: ზღაპარი.

ნანო ექიმზე რა უნდა ვთქვა. ნანო ნანოა, მისი სამართლიანობით, ფენომენალურობით, ქარიზმით და იუნიქორნებისადმი სიყვარულით, გოგო, რომელთანაც არანაირი რეპეტიცია, არაფრის დაგეგმვა არ გჭირდება, ყოველთვის შეგიძლია საიმედო საყრდენად გეგულებოდეს სამყაროს ნებისმიერ კუთხეში. გამოაქროლებს თავის იუნიქორნს და აუცილებლად გამოგიწვდით ხელს, მოგ-

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872